ფრე დონეცკში

სსრ კავშირის თასის მფლობელი - დონეცკის "შახტიორი" საგანგებოდ ემზადებოდა მატჩისათვის თბილისის "დინამოსთან". "შახტიორმა" ორი მარცხი ზედიზედ განიცადა XI-XII ტურებში, ხოლო შემდგომი ორი მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრა ხარკოვსა და მინსკში. ამიტომ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას გუნდი მთელი თავისი შესაძლებლობებით ცდიდა საკუთარ მინდორზე.

მატჩი დაიწყო დინამოელთა განუწყვეტელი იერიშებით. ბრაზილიურ სისტემას მათი შესრულებით ჰქონდა ძალზე აგრესიული ხასიათი. თავდასხმა მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, დაყოვნებათა გარეშე. "შახტიორი" იძულებული იყო ამ შეტევისათვის დაეპირისპირებინა "ბეტონირებული" დაცვა 6-7 მოთამაშის შემადგენლობით. ისინი დაუღალავად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რათა არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის არა მარტო გარღვევის, არამედ შორიდან კარში დარტყმის საშუალებაც.

თბილისელთა ეს იერიში გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს. მე-16 წუთზე "დინამოს" მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. "შახტიორის" ცენტრალურმა ფორვარდმა ანანჩენკომ შორიდან მოაწოდა ბურთი, იგი მიიღო საფრონოვმა და ძლიერი დარტყმით გაგზავნა კარის მარცხენა კუთხეში - 1:0.

მეორე ტაიმში მასპინძლები დასაწყისიდანვე იძულებული იყვნენ ღრმა დაცვაში წასულიყვნენ. გუნდი თითქმის არ ცილდებოდა თავის საჯარიმო მოედანს. მაგრამ დინამოელთა ამ ხანგრძლივმა შტურმმა შედეგი მხოლოდ 76-ე წუთზე გამოიღო: კალოევმა კარგად გამოიყენა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი და გავქვითა გოლი - 1:1.

დარჩენილ დროში "შახტიორი" მთელი თავისი შემადგენლობით იბრძოდა, რათა შეენარჩუნებინა ეს ანგარიში. დინამოელთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა იმით, რომ ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ბარქაიამ სულ რამდენიმე მეტრიდან ვერ შეძლო ზუსტი დარტყმის შესრულება და ბურთი ააცილა კარს 1:1.

თბილისის "დინამო" 20 ივნისს თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, მესხი.

დონეცკის "შახტიორისა" და თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ - 0:0.

ბ. სტრელკო, ჩვენი სპეც. კორ.
"ლელო", 22 ივნისი, 1963 წ.